



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №6
2017 წლის 10 მარტი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 თებერვლის №2 დადგენილებით (matsne.gov.ge; 10/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.138.016262) დამტკიცებულ დანართში:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“, ქვეპუნქტები და მის მიერ გადასახდელი თანხა აღემატება 400(ოთხასი) ლარს, ერთჯერადად დაუფინანსდება ქირურგიული მომსახურება მოთხოვნილი გადასახდელი თანხის 50%-მდე, არაუმეტეს 1000 (ერთიათასი) ლარისა.“

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

3. მე-6 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. მიმდინარე კალენდარულ წელს დაბადებული, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყოველი ახალშობილისთვის, გაცივმა ერთჯერადი ფულადი დახმარება, თუ ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი მაინც რეგისტრირებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.”

4. 24-ე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. ამ წესის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შემთხვევაში ახალშობილთა ოჯახების დაფინანსება განხორციელდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან.”

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.